

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოები უკრაინაში, როგორც მშვიდობისა და დემოკრატიის ხელშეწყობის ინსტრუმენტები: შემდეგი ნაბიჯი, რივნე!

უკრაინა 2018 წლიდან გახლავთ ALDA-ს ქსელის წევრი. 2015 წელს დაარსდა ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო დნიპრო [LDA Dnipro](#) რასაც მოჰყვა ორი წლის შემდეგ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო მარიუპოლის [LDA Mariupol](#). გახსნა.

რუსეთსა და უკრაინის ამ საშინელი ომის დაწყებამდეც კი, რომელიც უკვე წელიწადზე მეტია მიმდინარეობს, ALDA-ს ჰქონდა განზრახვა გაემდიერებინა კავშირი უკრაინასთან ახალი სააგენტოების გახსნით, რომლებიც იფუნქციონირებდნენ უკვე არსებულთან ერთად.

2022 წლის თებერვალში ქვეყანაზე თავდასხმამ დააჩქარა ეს პროცესი და გარდაუვალი გახდა უკრაინაში ისეთი ღირებულებების ხელშეწყობა, როგორცაა დემოკრატია, მშვიდობა, თავისუფლება და მოქალაქეთა მონაწილეობა.

ასევე, ამ მიზეზით, მაისის პირველ კვირას, ALDA-ს გუნდი გაემგზავრა უკრაინაში, რათა შეხვედროდა იმ ქალაქების წარმომადგენლებს, სადაც მალე ორი ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს გახსნა იგეგმება: **ოდესა და ვინიცია...** მაგრამ ყველაფერი ამით არ მთავრდება.

ALDA-ს თანამშრომლობა უკრაინასთან 2012 წლიდან იწყება და კავშირი დღითი დღე ძლიერდება

9 მაისს გაიმართა ALDA-ს გენერალური მდივნის, ქალბატონი ანტონელა ვალმორზიდას და კონსულტანტის LDA-ების განვითარების საკითხებში უკრაინაში, ბატონი ბარტლომეი ანდრეი ოსტროვსკის, ონლაინ შეხვედრა [რივნეში რეგიონული საბჭოს ხელმძღვანელთან](#), ბატონ ანდრეი კარაუშთან და რეგიონული საბჭოს მოადგილესთან, ქალბატონ სვეტლანა ბოჰატერჩაკ-კრივკოსთან. შეხვედრის მიზანი გახლდათ რივნეში ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს გახსნა.

როგორც ბატონმა კარაუშმა შეხვედრისას აღნიშნა, თანამშრომლობის შესაძლებლობები უსაზღვროა, დაწყებული პროფესიული განათლებიდან ტურიზმის სფეროთი დამთავრებული.

ALDA-ს კავშირი უკრაინასთან და მის მოსახლეობასთან დღითიდღე ძლიერდება, რადგან სურვილი აქვს დაეხმაროს უკრაინელ ხალხს თავისი ლამაზი ქვეყნის აღდგენაში.

„უკრაინა ALDA-ს 2012 წლიდან შემოუერთდა. ჩვენი ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოები მუშაობენ მარიუპოლსა და დნიპროში. (..) ALDA-ს სურს ქვეყანაში კიდევ შვიდი LDA-ის გახსნა. დაინტერესებული ვართ გავხსნათ მსგავსი სააგენტო რივნეშიც და ამით დავამყაროთ ძლიერი და მდგრადი თანამშრომლობა ქალაქთან“ - განაცხადა ქალბატონმა ვალმორბიდამ.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისეთი სუბიექტების ხელშეწყობას და მხარდაჭერას, როგორცაა ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოები, რომლებიც ხელს უწყობენ ევროპულ ღირებულებებს - თანასწორობას, ადამიანის უფლებებს და დემოკრაციას.